საიდ. №71862/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №80-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ი. გიქორაშვილი (თავმჯდომარე), ლ. კერესელიძე, დ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა შპს „ავერსი-ფარმა”-ს სააპელაციო საჩივარი (საიდ. №80-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 01 აპრილის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №359/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „ეტაციზინი Этацизин Etacisin” (საიდ. №71862/03) დარეგისტრირება საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-5 კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 01 აპრილის №359/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი "ეტაციზინი Этацизин Etacisin" დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან იგი მსგავსია კომპანია "უორლდ მედისინ ლიმიტიდ"-ის (მისამართი: 48 ქუინ ენ სტრიტი, ლონდონი W1G9JJ 48 ქუინ ენ სტრიტი, ლონდონი W1G9JJ) სახელზე მე-5 კლასის მსგავსი და იდენტური საქონლისათვის რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა "Etacid Етацид ეტაციდი" (რეგ. №18865, რეგ. თარ. 17-11-2008წ.). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებული და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების საწყისი ნაწილები "ეტაცი, Этаци, Etaci" გამოითქმის იდენტურად, ხოლო მათი განსხვავებული დაბოლოებები ვერ უზრუნველყოფს ნიშნებს შორის განმასხვავებლობას, რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. ამასთანავე აღსანიშნავია, საქართველოს ეკონომიკის მინისტრის 1999 წლის 23 აგვისტოს №63 ბრძანებით დამტკიცებული "სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ" ინსტრუქციის მე–18 მუხლის მე–6 პუნქტი, რომლის შესაბამისად, "სიმბოლოების მსგავსების დადგენის ძირითადი კრიტერიუმია მათი აღრევის, მათ შორის ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა, რისთვისაც ექსპერტიზამ უნდა გაითვალისწინოს სიმბოლოების სმენითი (ფონეტიკა, მუსიკალური ჟღერადობა) მხედველობითი (გრაფიკა, ფერთა შეხამება), აზრობრივი (სემანტიკა, არსი) მსგავსება, სიმბოლოების შედარებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საერთო შთაბეჭდილებას. რის გამოც, განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

აპელანტი შპს „ავერსი-ფარმა" არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები არც ვიზუალურად და არც ფონეტიკურად ისე არ ჰგავს ერთმანეთს, რომ მომხმარებელში გამოიწვიოს აღრევა. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები სიტყვიერი, სამენოვანი სასაქონლო ნიშნებია, რომლებიც

წარმოდგენილია ქართულ, კირილიცაზე და ლათინურ ენაზე. ორივე ნიშანი წარმოდგენილი ქართულ ენაზე შედგება ცხრა ასოსაგან, რომელთაგან მსგავსია მხოლოდ ხუთი ასო: „ე”, „ტ”, „ა”, „ც”, „ი”. ნიშნების დაბოლოება ვიზუალურად ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავდება: „ზინი” და „ციდი”. აპელანტის პოზიციით, კირილიცაზე წარმოდგენილი ნიშნებიდან „Этацизин” და „Этацид” მსგავსია მხოლოდ საწყისი ხუთი ასო: „Э”, „т”, „а”, „ц”, „и”. აქაც განსხვავებულია ნიშნების დაბოლოებები „зин“ და „д“. პირველი ნიშნის დაბოლოება სამი ასოსგან შედგება, ხოლო მეორე ნიშნისა - ერთი ასოსგან, რაც ვიზუალურად იძლევა განსხვავებულობას. ლათინურ ენაზე შედგენილი სასაქონლო ნიშნები Etacisin და Etacid გასხვავდება ასოთა რაოდენობით და დაბოლოებებით. ამ შემთხვევაშიც მსგავსია ნიშნების საწყისი ასოები: „E”, “t”, “a”, “c”, “i” და განსხვავებულია დაბოლოება. ვიზუალური შედარების შედეგად ნათელია, რომ სასაქონლო ნიშნები: ”ეტაციზინი, Этацизин, Etacisin” და ”ეტაციდი, Этацид, Etacid“ ვიზუალურად არ არის იმდენად მსგავსი, რომ მომხმარებელი მათ შორის ასოცირების შედეგად შეცდომაში იქნას შეყვანილი. აპელანტის მითითებით, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „ეტაციზინი“ ქართულად წარმოითქმება როგორც „ე-ტა-ცი-ზი-ნი“, ხოლო რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი „ეტაციდი“ წარმოითქმება როგორც „ე-ტა-ცი-დი“. ჟღერადობის მიხედვით ამ ორ სასაქონლო ნიშანში მსგავსია მხოლოდ პირველი სამი მარცვალი „ე-ტა-ცი“. ამასთან, აპელანტის სასაქონლო ნიშანი შედგება 5 მარცვალისაგან, ხოლო რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი „ეტაციდი“ შედგება 4 მარცვალისაგან. ამ ორი სასაქონლო ნიშნის დაბოლოებები („ზი-ნი“ და „ცი-დი“) სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისაგან. შესაბამისად, ჟღერადობის მიხედვით ნიშნების მხოლოდ პირველი სამი მარცვლის მსგავსება, მაშინ როცა ნიშნების დაბოლოებები ჟღერს აბსოლუტურად განსხვავებულად ვერ გამოიწვევს სასაქონლო ნიშნების აღრევას. სასაქონლო ნიშნის ”ეტაციზინი, Этацизин, Etacisin” რეგისტრაცია მოთხოვნილი იყო საქონლისა და მომსახურების მე-5 კლასის ჩამონათვალისთვის. აღნიშნულ კლასშია რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი ”ეტაციდი, Этацид, ტაციდ“. ორივე ნიშნით ნიშანდებულია ფარმაცევტული პროდუქტი, მაგრამ „ეტაციზინით” ნიშანდებული ფარმაცევტული პროდუქტი და

„ეტაციდით” ნიშანდებული ფარმაცევტული პროდუქტი სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისაგან. კერძოდ, „ეტაციზინით“ ნიშანდებული ფარმაცევტული პროდუქტი გამოიყენება გულსისძარღვთა სისტემის სამკურნალოდ. აღნიშნული მედიკამენტი ენიშნებათ იმ პირებს, ვისაც აქვთ არითმია და გულსისძარღვთან დაკავშირებული პრობლემები. აღნიშნული მედიკამენტი წარმოდგენილია ტაბლეტების სახით და ინიშნება მხოლოდ ექიმის მიერ გამოწერილი რეცეპტის საფუძველზე. რაც შეეხება სასაქონლო ნიშნით „ეტაციდი“ ნიშანდებულ ფარმაცევტულ პროდუქტს, აღნიშნული არის ანთების საწინააღმდეგო ოტორინოლარინგოლოგიური (ჰორმონალური), გლუკოკორტიკოსტეროიდის შემცველი ანტიმიკრობული მედიკამენტი, რომელიც არსებობს მხოლოდ სპრეის ან მალამოს სახით. აქედან გამომდინარე, ალბათობა იმისა, რომ არითმიის დროს ექიმმა პაციენტს შეცდომით დაუნიშნოს ეტაციდი, რომელიც ტაბლეტების სახით არც არის წარმოდგენილი, ან პირიქით, ოტორინოლარინგოლოგმა ანთების დროს დაუნიშნოს პაციენტს ანტიარითმიული მედიკამენტი „ეტაციზინი“ ტაბელეტის სახით, ძალიან მცირეა. აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო ნათელია, რომ მომხმარებელში ამ ორ სასაქონლო ნიშნებს შორის აღრევის შესაძლებლობა ძალიან დაბალია. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 01 აპრილის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №359/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის „ეტაციზინი Этацизин Etacisin” (საიდ. №71862/03) დარეგისტრირებას საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის,

მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას და მიაჩნია, რომ განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები მსგავსია, როგორც ვიზუალურად ისე ფონეტიკური თვალსაზრისით. ორივე დაპირისპირებული ნიშანი წარმოადგენს სამ ენაზე შესრულებულ სიტყვიერ ელემენტს, შედგება სტანდარტული ქართული, კირილიცის და ლათინური ანბანის შრიფტით და არ შეიცავს გამოსახულებას. განცხადებული ნიშნის ქართულად შესრულებული სიტყვიერი ნაწილი შედგება ცხრა ასოსაგან, ხოლო ლათინური და კირილიცაზე შესრულებული კი რვა-რვა ასოსაგან. დაპირისპირებული ნიშანი, ქართული შრიფტით შესრულებული, არის შვიდ ასოიანი, ხოლო ლათინური და კირილიცაზე შესრულებული კი ექვს-ექვს ასოიანი. აქედან სიტყვების საწყისი ხუთი ასო ქართულ და ინგლისურ ენაზე დაპირისპირებულ ნიშნებში იდენტურია - **„ეტაცი“** და **„Etaci“**, ხოლო რუსულ ენაზე მსგავსი.

განსხვავებულია მხოლოდ დასახელებების დაბოლოებები **„-ზინი, -зин, -sin“** და **„-დი, -д, -d“**, თუმცა მე-5 კლასში სასაქონლო ნიშნად რეგისტრირებული ფარმაცევტული ნივთიერებების დასახელებათა უმრავლესობა ბოლოვდება სწორედ ზემოაღნიშნული ბოლოსართებით, შესაბამისად ისინი მე-5 კლასის საქონლისათვის წარმოადგენენ სუსტ ელემენტს და ვერ სძენენ დაპირისპირებულ ნიშნებს იმ დონის განსხვავებას, რომ არ მოხდეს მათი ერთმანეთში აღრევა მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ფონეტიკურად, რადგან განცხადებული ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „ეტაციზინი“ ხოლო დაპირისპირებული ნიშანი როგორც „ეტაციდი“.

ამასთან, სააპელაციო პალატა ვერ დაეთანხმება აპელანტის არგუმენტს იმის თაობაზე, რომ განცხადებული და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალი განსხვავდება ერთმანეთისგან. შპს „ავერსი-ფარმა“-ს წარმომადგენილის განმარტებით სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი **„ეტაციზინი Этацизин Etacisin“** გამოიყენება მხოლოდ გულსისძარღვთა სისტემის სამკურნალოდ და წარმოდგენილია ტაბლეტის სახით, ხოლო დაპირისპირებული ნიშნით **„Etacid Етацид ეტაციდი”** ნიშანდებული ფარმაცევტული

პროდუქტი არის ანთების საწინააღმდეგო ოტორინოლარინგოლოგიური (ჰორმონალური) ანტიმიკრობული მედიკამენტი, რომელიც არსებობს მხოლოდ სპრეის ან მალამოს სახით, თუმცა აპელანტს არ წარმოუდგენია ამ არგუმენტების დამადასტურებელი საბუთები. ამავდროულად, აპელანტს განცხადებულ საქონლის ჩამონათვალში მითითებული აქვს „სამკურნალწამლო საშუალება (ფარმაცევტული პროდუქტი, მედიკამენტი), მაშინ როდესაც დაპირისპირებული ნიშნის საქონლის ჩამონათვალი სხვა ფარმაცევტულ პროდუქტებთან ერთად ასევე, მოიცავს გულსისხლძარღვთა სისტემის სამკურნალო საშუალებებს, კერძოდ, დაპირისპირებული ნიშნით რეგისტრირებული საქონლის ჩამონათვალია: „ფარმაცევტული და ვეტერინარული პრეპარატები; სამედიცინო დანიშნულების ჰიგიენური პრეპარატები; სამედიცინო დანიშნულების დიეტური ნივთიერებები, ბავშვთა კვება; სალბუნები, სახვევი მასალა; კბილის დასაბჟენი და კბილის ტვიფრის დასამზადებელი მასალა; მადეზინფიცირებელი საშუალებები; მავნე ცხოველების გასანადგურებელი პრეპარატები; ფუნგიციდები, ჰერბიციდები.“ განცხადებული და დაპირიპსირებული სასაქონლო ნიშნის მე-5 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვალი კიდევ უფრო მეტად ზრდის ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას საქონლის მწარმოებლის მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „ეტაციზინი Этацизин Etacisin” (საიდ. №71862/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „ავერსი-ფარმა”-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 01 აპრილის №359/03 ბრძანება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	ი. გიქორაშვილი
წევრები:	ლ. კერესელიძე
	დ. ჭიჭინაძე